საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ხელშეკრულება

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების - საირხესა და ჭორვილას წყალსადენის მოწყობა

EIB/MIMP/W/NCB/44-2017

თბილისი, 2017

ხელშეკრულება # EIB/MIMP/W/NCB/44-2017

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2017 წლის 11 სექტემბერს, ერთის მხრივ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „მშენებელი-80“-ს (შემდგომში „კონტრაქტორი“) შორის.

ვინაიდან დამკვეთს სურს, რომ კონტრაქტორმა განახორციელოს **საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების - საირხესა და ჭორვილას წყალსადენის მოწყობა #EIB/MIMP/W/NCB/44-2017** და მან მიიღო კონტრაქტორის სატენდერო წინადადება ამ ობიექტის მშენებლობისა და დასრულების და მისი ყველა დეფექტის აღმოფხვრის შესახებ.

დამკვეთი და კონტრაქტორი თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც მათ მინიჭებული აქვს ქვემოთ მითითებულ კონტრაქტის დოკუმენტაციაში.

2. მიჩნეულია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კონტრაქტის დოკუმენტები შეადგენს ამ ხელშეკრულების ნაწილს და წაკითხული და ინტერპრეტირებული უნდა იქნას, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ხელშეკრულებას უპირატესობა ენიჭება კონტრაქტის სხვა დოკუმენტებთან შედარებით.

   (ა) ხელშეკრულება

   (ბ) მიღების წერილი

   (გ) სატენდერო წინადადება

   (დ) შეთანხმება კეთილსინდისიერების შესახებ

   (ე) კონტრაქტის კონკრეტული პირობები

   (ვ) კონტრაქტის ზოგადი პირობები

   (ზ) სპეციფიკაციები

   (თ) ნახაზები

   (ი) სამუშაოთა მოცულობების უწყისები

   (კ) გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

3. დამკვეთის მიერ კონტრაქტორისათვის განსახორციელებელი გადახდების გათვალისწინებით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულებაშია აღნიშნული, კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას დამკვეთის წინაშე განახორციელოს და დაასრულოს ობიექტი და აღმოფხვრას მისი დეფექტები კონტრაქტის დებულებებთან სრულ შესაბამისობაში.

4. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი იღებს ვალდებულებას ობიექტის განხორციელებისა და დასრულებისათვის და მისი დეფექტების აღმოფხვრისათვის გადაუხადოს კონტრაქტორს კონტრაქტის ფასი ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შეიძლება გადასახდელი იყოს კონტრაქტის დებულებების შესაბამისად იმ ვადებში და იმ ფორმით, როგორც მითითებულია კონტრაქტში.

ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზემოთ მითითებულ დღეს, თვესა და წელს.

ხელმოწერილია დამკვეთის მხრიდან:

გალაქტიონ ბუაძე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი
მის: დავით აღმაშენებლის გამზ. #150, თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია კონტრაქტორის მხრიდან:

ვალერი ბუცხრიკიძე

შპს „მშენებელი-80"-ის დირექტორი
მის: წყალსადენის ქ. #4, თბილისი, საქართველო
ს/კ: 209437778

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

2300-g-2-201708241642

N 2300-g 24/08/2017

მიღების წერილი

ვის: **შპს „მშენებელი-80“**
მისამართი: წყალსადენის ქ. #4, თბილისი, საქართველო.

შეტყობინება EIB/MIMP/W/NCB/44-2017 კონტრაქტის მინიჭების შესახებ **საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების - საირხესა და ჭორვილას წყალსადენის მოწყობა.**

წინამდებარე წერილით გატყობინებთ, რომ თქვენი სატენდერო წინადადება, დათარიღებული 2017 წლის 20 ივლისით - **საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების - საირხესა და ჭორვილას წყალსადენის მოწყობა (კონტრაქტის #EIB/MIMP/W/NCB/44-2017)** განსახორციელებლად კონტრაქტის მიღებულ თანხაზე, რომელიც შეადგენს **10 250 004.57** (ათი მილიონ ორასორმოცდაათი ათას ოთხი ლარი და 57/100) ლარს "ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის" შესაბამისად განხორციელებული კორექტირებებისა და ცვლილებების ჩათვლით, მიღებულია ჩვენი უწყების მიერ.

თქვენ მოგეთხოვებათ კონტრაქტის შესრულების გარანტიის წარდგენა 28 დღის განმავლობაში კონტრაქტის პირობების შესაბამისად კონტრაქტის შესრულების გარანტიის იმ ფორმის გამოყენებით, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის IX თავში (კონტრაქტის ფორმები).

დანართი: ხელშეკრულება

პატივისცემით,
გალაქტიონ ბუაძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E-mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

შპს „მშენებელი-80“
საქართველოს ბანკი, ცენტრ. ფილიალი
ანგ.№GE72BG0000000121195000
კოდი №209437778
ბანკის კოდი № BAGAGE22

LTD "MSHENEBELI-80"
Bank of Georgia, Central Branch
Acc.№ GE72BG0000000121195000
Ind.code№209437778
Bank code № BAGAGE22

ქ. თბილისი წყალსადენის №4
Fax - (995 32) 262 11 37
(995 577) 41 88 35
ელ.ფოსტა: mshenebeli80@yahoo.com
Tbilisi, Tskalsadeni str. №4

№ 163

„20“ ივლისი 2017

სატენდერო განაცხადი

თარიღი: 20.07.2017

ტენდერის № .: **EIB/MIMP/W/NCB/44-2017**

მოწვევა სატენდერო წინადადებების წარდგენაზე №.: **EIB/MIMP/W/NCB/44-2017**

(ვის): საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვაცხადებთ, რომ

(ა) ჩვენ შევისწავლეთ სატენდერო დოკუმენტაცია და არა გვაქვს რაიმე შენიშვნები მასთან დაკავშირებით, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-8 პარაგრაფის შესაბამისად გაცემული ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით;

(ბ) ჩვენ ვაკმაყოფილებთ უფლებამოსილების მოთხოვნებს და არა გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის” მე-4 პარაგრაფის შესაბამისად;

(გ) ჩვენ არ ვიყავით უარყოფილნი ან არაუფლებამოსილად გამოცხადებულნი დამკვეთის მიერ, სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის შესრულების საფუძველზე დამკვეთის ქვეყანაში, “ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის” 4.6 პარაგრაფის შესაბამისად;

(დ) ჩვენ გთავაზობთ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად შემდეგი სამუშაოების განხორციელებას: საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების – საირხესა და ჭორვილას წყალსადენის მოწყობა **EIB/MIMP/W/NCB/44-2017.**

(ე) ჩვენი სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი, იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც შემოთავაზებულია ქვემოთ (ვ) პუნქტში, შეადგენს: **10 250 004,57** (ათი მილიონ ორასორმოცდაათი ათას ოთხი ლარი და 57 თეთრი) ლარი.

მხოლოდ ერთი ლოტის შემთხვევაში, სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი [ჩასვით სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი სიტყვიერად და ციფრებით, სხვადასხვა თანხებისა და შესაბამისი ვალუტების მითითებით]:

რამოდენიმე ლოტის შემთხვევაში, თითოეული ლოტის მთლიანი ფასი [ჩასვით თითოეული ლოტის მთლიანი ფასი სიტყვიერად და ციფრებით, სხვადასხვა თანხებისა და შესაბამისი ვალუტების მითითებით];

რამოდენიმე ლოტის შემთხვევაში, ყველა ლოტის (ლოტების ჯამი) მთლიანი ფასი [ჩასვით ყველა ლოტის მთლიანი ფასი სიტყვიერად და ციფრებით, სხვადასხვა თანხებისა და შესაბამისი ვალუტების მითითებით];

(ვ) შემოთავაზებულია შემდეგი ფასდაკლებები და მათი გამოყენების მეთოდიკა:

(i) შემოთავაზებული ფასდაკლებები წარმოადგენს: [დეტალურად ჩამოაყალიბეთ თითოეული შემოთავაზებული ფასდაკლება]

(ii) ფასდაკლების გამოყენების შემდეგ წმინდა ღირებულების განსასაზღვრად გამოთვლების წარმოების კონკრეტული მეთოდი ქვემოთ არის მოყვანილი: [დეტალურად ჩამოაყალიბეთ ფასდაკლებებისათვის გამოყენებული მეთოდი]

(ზ)ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია 90 დღის განმავლობაში, სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და ეს წინადადება სავალდებულოა ჩვენთვის და შეიძლება მიღებული იქნას ნებისმიერ მომენტში მისი მოქმედების ვადის გასვლამდე;

(თ)თუ ჩვენი სატენდერო წინადადება მიღებული იქნა, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, წარმოვადგინოთ კონტრაქტის შესრულების გარანტია სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად;

(ი) ჩვენ, ამ ტენდერის ფარგლებში არ მიგვიღია მონაწილეობა ერთზე მეტი სატენდერო წინადადების წარდგენაში როგორც ტენდერის მონაწილეს ან ქვეკონტრაქტორს „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის" 4.2 (ე) პარაგრაფის შესაბამისად. გარდა ალტერნატიული წინადადებებისა,რომლებიც წარმოდგენილი იქნა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის" 13-ე პარაგრაფის შესაბამისად;

(კ) ჩვენი ფირმა, მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, კონტრაქტის ნებისმიერი ნაწილის ყველა ქვეკონტრაქტორისა და მიმწოდებლის ჩათვლით, არ არის არაუფლებამოსილად გამოცხადებული ბანკის მიერ, დამკვეთის ქვეყნის კანონებისა და ოფიციალური დადგენილების თანახმად ან გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

(ლ)ჩვენ არა ვართ სახელმწიფო საწარმო/ჩვენ ვართ სახელმწიფო საწარმო, მაგრამ ვაკმაყოფილებთ „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის" 4.5 პარგრაფის მოთხოვნებს;

(მ) ჩვენ ვაცხადებთ, რომ გადავიხადეთ ან გადავიხდით ტენდერთან ან კონტრაქტის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკომისიო გადასახადებს, ფულად ანაზღაურებას ან ჰონორარს: [ჩასვით თითოეული მიმღების სრული დასახელება, მისი სრულყოფილი მისამართი, მიზეზი რის გამოც იქნა გადახდილი თითოეული საკომისიო

ან ანაზღაურება და თითოეული საკომისიოს ან ანაზღაურების თანხა და ვალუტა].

მიმღების სახელი	მისამართი	მიზეზი	თანხა

არ იქნა გადახდილი ....

(თუკი ამგვარი რამ არ იქნა გადახდილი, მიუთითეთ "არ იქნა გადახდილი")

(ნ) ჩვენ გვესმის, რომ კონტრაქტის მომზადებამდე და გაფორმებამდე წინამდებარე სატენდერო წინადადება და თქვენს მიერ გამოგზავნილი შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ, ჩვენს შორის წარმოადგენს იურიდიულ ვალდებულებას; და

(ო) ჩვენ გვესმის, რომ თქვენ არა ხართ ვალდებული მიიღოთ ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე სატენდერო წინადადება ან ნებისმიერი სხვა თქვენთვის წარმოდგენილი წინადადება;

(პ) ვადასტურებთ, რომ ყველა ძალისხმევას მივმართეთ, რათა ჩვენი სახელით ან ჩვენთან ერთად მოქმედი არც ერთი პირი არ იყოს ჩართული არანაირი სახის კორუფციასა და თაღლითობაში.

ტენდერის მონაწილის სახელი* შპს „მშენებელი 80"

პირის სახელი, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სატენდერო წინადადებას ტენდერის მონაწილის სახელით** ვალერი ბუცხრიკიძე

სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის თანამდებობა დირექტორი

ზემოთ მითითებული პირის ხელმოწერა ----------

ხელმოწერის თარიღი 20.07.2017წ. დღე, თვე, წელი

3. ... 5. ...

დანართი #1

შეთანხმება კეთილსინდისიერების შესახებ

დამკვეთს ტენდერის მონაწილისაგან, თანდართული უნდა იყოს მის სატენდერო წინადადებაზე

"წინამდებარე შეთანხმებით ვაცხადებთ და ვალდებულებას ვიღებთ რომ არც ჩვენ და არც არავინ, ჩვენი დირექტორების, თანამშრომლების, აგენტების, ერთობლივი საწარმოს პარტნიორების, ან ქვე-კონტრაქტორების, მათი არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით, ჩვენი სახელით სათანადო უფლებამოსილებით ან ჩვენი თანხმობით, ან ხელშეწყობით მოქმედებისას, არ ვიყავით ჩართულები და არც ჩავერთვებით არანაირი სახის აკრძალულ პრაქტიკაში (როგორც ეს ქვევით არის განმარტებული) სატენდერო პროცესთან დაკავშირებით ან სამუშაოების შესრულებისა და საქონლისა და მომსახურების მოწოდებისას **„საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების – საირხესა და ჭორვილას წყალსადენის მოწყობა" №EIB/MIMP/W/NCB/44-2017** ("კონტრაქტის") ფარგლებში და ვკისრულობთ თქვენს ინფორმირებას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი აკრძალული ქმედების შესახებ ინფორმაცია ჩვენს ორგანიზაციაში მომუშავე, წინამდებარე შეთანხმებასთან შესატყვისობაზე პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის ყურადღებას მიიპყრობს.

ჩვენ, სატენდერო პროცესის განმავლობაში და ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში კონტრაქტის მიმდინარეობისას დავნიშნავთ და ოფისში ვიყოლიებთ ოფიცერს, რომლის პიროვნებაც გონივრულად დამაკმაყოფილებელი იქნება თქვენთვის, რომელზეც გექნებათ სრული და დაუყოვნებელი წვდომა და რომელსაც მინიჭებული ექნება მოვალეობა და საჭირო უფლებამოსილება უზრუნველყოს წინამდებარე შეთანხმებასთან შესატყვისობა.

იმ შემთხვევაში, თუ (i) ჩვენ, ჩვენი დირექტორების, თანამშრომლების, აგენტების, ერთობლივი საწარმოს პარტნიორების, ან ქვე-კონტრაქტორების, მათი არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით, ბრალდებულნი ვიყავით რომელიმე სასამართლოში რაიმე დარღვევაზე, რომელიც გულისხმობდა აკრძალულ ქმედებას ნებისმიერ სატენდერო პროცესთან ან სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით წინამდებარე შეთანხმების თარიღამდე ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში; ან (ii) ჩვენი დირექტორები, თანამშრომლები, აგენტები, ერთობლივი საწარმოს პარტნიორები, ან ქვე-კონტრაქტორები, მათი არსებობის შემთხვევაში, გათავისუფლებულები იყვნენ ან გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან აკრძალულ ქმედებებში ჩართულობის გამო, ან (iii) ჩვენ, ჩვენი დირექტორების, თანამშრომლების, აგენტების, ერთობლივი საწარმოს პარტნიორების, ან ქვე-კონტრაქტორების, მათი არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით, ევროკავშირის დაწესებულებების ან სხვა მსხვილმასშტაბიანი მრავალმხრივი განვითარების ბანკის მიერ (მსოფლიო ბანკის ჯგუფის, აფრიკის განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის ჩათვლით) არ ვიყავით დაშვებულნი სატენდერო პროცედურებზე აკრძალულ ქმედებებში ჩართულობის საფუძველზე, ჩვენ წარმოვადგენთ ხსენებული ბრალდების, თანამდებობიდან გათავისუფლების ან გადადგომის და ტენდერში მონაწილეობაზე დაუშვებლობის დეტალებს, იმ ზომების დეტალებთან ერთად, რომელიც გავატარეთ ან გავატარებთ იმის უზრუნველყოფისათვის, რომ ვერც ამ კომპანიამ, და ვერც მისმა დირექტორებმა, თანამშრომლებმა ან აგენტებმა ვერ ჩაიდინონ ვერანაირი აკრძალული ქმედებები კონტრაქტთან მიმართებაში [*მიუთითეთ დეტალები, საჭიროებისამებრ*].

ჩვენთვის კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში, ჩვენ ვანიჭებთ უფლებას პროექტის მესაკუთრეს, ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) და ნებისმიერი მათგანის მიერ დაქირავებულ აუდიტორებს და ასევე ევროკავშირის ნებისმიერ დაწესებულებას ან ორგანოს, რომელსაც გააჩნია ეს უფლებამოსილება ევროკავშირის სამართლის საფუძველზე, ჩაატაროს ჩვენი და კონტრაქტის ფარგლებში არსებული ჩვენი ყველა ქვე-კონტრაქტორის დოკუმენტაციის

ინსპექტირება. ვალდებულებას ვიღებთ ვაწარმოოთ და შევინახოთ ეს დოკუმენტაცია შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად და ნებისმიერ შემთხვევაში მინიმუმ ექვსი წლის მანძილზე კონტრაქტის არსებითად დასრულების თარიღიდან."

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის, აკრძალული ქმედება გულისხმობს,

- „კორუფციული ქმედება" არის რაიმე ღირებულის შეთავაზება, მიცემა, მიღება ან მოთხოვნა, პირდაპირ ან ირიბად, რაც ზეგავლენას მოახდენს რომელიმე მხარის მოქმედებაზე;
- „თაღლითური ქმედება" არის ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის გაყალბება, რაც მხარეს შეგნებულად ან დაუდევრობით შეიყვანს შეცდომაში ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას ფინანსური ან სხვა სახის სარგებელის მიღების ან ვალდებულებათა შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით;
- „იძულება" არის რომელიმე მხარის ან ამ მხარის საკუთრების დაზიანება ან გაფუჭება ან დაზიანების და გაფუჭების მუქარა პირდაპირა ან ირიბად, რომლის მიზანია მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა;
- „წინასწარ განზრახული მოქმედება" არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც გამიზნულია არამართლზომიერი შედეგის მისაღწევად, მათ შორის სხვა მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზემოქმედება;
- „ობსტრუქციული ქმედება" არის (ა) წინასწარი შეცნობით გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან მიჩქმალვა ან გამოძიებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რაც მიზნად ისახავს ბანკის მიერ კორუფციის, თაღლითობის, წინასწარ განზრახული მოქმედების ან იძულების ფაქტების გამოძიებისათვის ხელის შეშლას; ან/და რომელიმე მხარის მიმართ განხორციელებული მუქარა, დევნა ან შანტაჟი, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული მხარის მიერ გამოძიებასთან დაკავშირებული საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა ან გამოძიებასთან თანამშრომლობისათვის ხელის შეშლას, ან (ბ) ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს EIB--ის მიერ ინსპექციისა და აუდიტის განხორციელებისათვის არსებითად ხელის შეშლას და ასევე იმ უფლებების განხორციელების ხელის შეშლას, რომელიც ევროკავშირის ან მისი წევრი ქვეყნების ნებისმიერ საბანკო, მარეგულირებელ, ან მაკონტროლებელ ორგანოს გააჩნია იმ კანონის, რეგულაციის, შეთანხმების ან კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც EIB--იმ გააფორმა ამგვარი კანონის, რეგულაციის ან ხელშეკრულების განსახორციელებლად.
- ფულის გათეთრება განმარტებულია ბანკის თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკაში;
- ტერორისტების დაფინანსება განმარტებულია ბანკის თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკაში;
- პროექტის მესაკუთრეში იგულისხმება პირი, რომელსაც ეს წოდება აქვს მინიჭებული კონტრაქტის სატენდერო დოკუმენტაციაში.

ტენდერში მონაწილე შპს „მშენებელი 80"

ხელმოწერა _____

თარიღი 20.07.2017წ.

კონტრაქტის კონკრეტული პირობები

კონტრაქტის კონკრეტული პირობები

ა. ზოგადი	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (დ)	დამფინანსებელი ინსტიტუტი არის: ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB).
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ს)	დამკვეთი არის: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. #150, სართული/ოთახის ნომერი: ოთახი 301, III სართული ქალაქი: თბილისი. საფოსტო ინდექსი: 0112. ქვეყანა: საქართველო.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ზ)	მთლიანი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი: სამუშაოთა დაწყებიდან 540 დღე.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ი)	კონტრაქტორი არის: შპს „მშენებელი 80“ ფაქტიური მისამართი: წყალსადენის ქ. N4, თბილისი, საქართველო იურიდიული მისამართი: წყალსადენის ქ. N4, თბილისი, საქართველო ს/კ: **209437778** საბანკო რეკვიზიტები: **სს „საქართველოს ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი** **ბანკის კოდი: BAGAGE22** **ანგარიში: GE72BG0000000121195000**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (შ)	პროექტის მენეჯერი: *მგფ-ის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის ინჟინერი დევნა გუგეშაშვილი.*
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ც)	ობიექტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტში და ესაზღვრება ქალაქ საჩხერეს, დედაქალაქიდან 177კმ-ის დაშორებით.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (ჭ)	სამუშაოების დაწყების თარიღია: კონტრაქტის ხელმოწერიდან 15 დღეში.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 1.1 (აა)	პროექტი ითვალისწინებს სოფ. საირხის და ჭორვილასთვის წყლის მიწოდებას მდინარე ყვირილას მარჯვნივ მდებარე რაჭის ქედიდან, კერძოდ, სოფელ უზუნთას თავზე მდებარე ექვსი საპროექტო წყალდამჭერიდან, რომელიც მოწყობილია ნაკადულის სათავეებზე. წყალმომარაგების სათავე ნაგებობებიდან, პროექტის მიხედვით, მაგისტრალური 250მმ მაღალი წნევის მილსადენით წყალი მიეწოდება საირხისა და ჭორვილას რეზერვუარებს, საიდანაც წყლის განაწილება მოხდება ამ სოფლებში საპროექტო ქსელის საშუალებით. სოფლებში გათვალისწინებულია შენობებისთვის როგორც განშტოებების მოწყობა ქსელიდან, ასევე მრიცხველების მონტაჟიც. პროექტი მოიცავს, აგრეთვე, მაგისტრალურ მილსადენზე უზუნთის შემკრები რეზერვუარის, საქლორატოროს სოფელ ბაჯითის რეზერვუარისა და ქალაქ საჩხერისთვის ერთი განშტოების მოწყობას.

	<u>ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობები:</u> 1. 6 ერთეული რკინა-ბეტონის წყალდამჭერის, „კაპტაჟის“, მოწყობას; 2. წყალსადენის მაგისტრალური მაღალწნევიანი ფოლადის მილსადენის 31 291მ მშენებლობას მილის კვეთებით DN150-დან, DN250-მდე; 3. მაგისტრალურ მისადენზე წნევის ჩამხშობის, ვანტუზების, კომპენსატორების, საყრდენი ბლოკების, დამცლელი ჭების და რეზერვუარებისკენ განშტოებების მოწყობას; 4. სოფელ უზუნთას 285მ3 რკინა-ბეტონის რეზერვუარის მოწყობას; 5. სოფელ ბაჯითთან საქლორატოროს მოწყობას; 6. სოფელ ბაჯითის 285მ3 რკინა-ბეტონის რეზერვუარის მოწყობას; 7. სოფელ საირხეს 400მ3 რკინა-ბეტონის რეზერვუარის მოწყობას; 8. სოფელ ჭორვილას 2 ცალი 400მ3 რკინა-ბეტონის რეზერვუარის მოწყობას; 9. წყალსადენის გამანაწილებელი ქსელის მოწყობას პოლიეთილენის მილებით რედუქტორებით, სახანძრო ჰიდრანტებით, განმანაწილებელი ჭებით, შემყვანებით და წყალმზომებით სიგრძით 78 963 მ, დიამეტრებით 20მმ-160მმ.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.2	ობიექტის ნაწილ-ნაწილ დასრულება: **არ გამოიყენება.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.3 (ი)	შემდეგი დოკუმენტები ასევე წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს: **გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 3.1	კონტრაქტის ენა: **ქართული.** პროექტის მენეჯერთან საკომუნიკაციო ენა: **ორენოვანი - ქართულ/ინგლისური (უპირატესობა მიენიჭება კონტრაქტის ენას).** კონტრაქტის მარეგულირებელი კანონმდელობა: **საქართველოს კანონმდებლობა.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 5.1	კონტრაქტის მენეჯერს **არ შეუძლია თავისი ნებისმიერი ვალდებულებებისა და მოვალეობების სხვა პირებისათვის გადაცემა.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.1	სხვა კონტრაქტორების გრაფიკი: *ა/გ.*
კონტრაქტის ზოგადი პირობები 13.1	დაზღვევის მინიმალური თანხა და სხვა გამოსაქვითი თანხები: (ა) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალებისათვის: კონტრაქტის ღირებულების **ას ათი (110) პროცენტი;** მაქსიმალური სადაზღვევო დასაკავებელი თანხები სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების დაზღვევისათვის: **8,500 ლარი;** (ბ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მანქანა-დანადგარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: **400,000 ლარი;**

	მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მანქანა-დანადგარების დაზღვევისათვის: **8,500 ლარი;** (გ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები კონტრაქტთან დაკავშირებული ქონების (სამუშაოების, ქარხნის/დანადგარების და მასალების გარდა) დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში: **100,000 ლარი;** მაქსიმალური დასაკავებელი თანხები მესამე სხვა ქონების დაზღვევისათვის – **8,500 ლარი;** (დ) მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები ტრამვისა და სიკვდილის შემთხვევაში შეადგენს: (i) კონტრაქტორის პერსონალისათვის: **5,000 ლარს/კაცზე,** მთლიანობაში მინიმუმ **100,000 ლარს;** (ii) მესამე პირთათვის **50,000 ლარს.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 14.1	ობიექტის მონაცემები: **არ გამოიყენება.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 20.1	ობიექტის ტერიტორიის გადაცემის თარიღ(ებ)ი: **კონტრაქტის ორმხრივად ხელმოწერის დღე.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 23.1 და 23.2	მომრიგებლის დამნიშნავი უწყება: **დავების განმხილველი ცენტრი** ვაჟა-ფშაველას 71, ბლოკი, 1 სართული ტელ: 032 2 207 327 ელ-ფოსტა: info@drc-arbitration.ge
კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.3	მომრიგებლის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთი და ანაზღაურებადი ხარჯების ტიპები: **გადახდის თარიღისათვის 150 აშშ დოლარის ექვივალენტი საათში.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 24.4	უწყებები, რომელთა არბიტრაჟის რეგლამენტიც იქნება გამოყენებული: **საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი.** არბიტრაჟის მისამართია: **დავების განმხილველი ცენტრი** ვაჟა-ფშაველას 71, ბლოკი, 1 სართული ტელ: 032 2 207 327 ელ-ფოსტა: info@drc-arbitration.ge
ზ. ვადების კონტროლი	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 26.1	კონტრაქტის ხელმოწერის თარიღიდან 7 **დღის** განმავლობაში კონტრაქტორმა დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს სამუშაოების პროგრამა.

კონტრაქტის ზოგადი პირობები 26.3	სამუშაოთა პროგრამის განახლება უნდა მოხდეს **30 დღიანი** ინტერვალებით. განახლებული სამუშაოთა პროგრამის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში დაკავებული იქნება **20,000 ლარი.**
გ. ხარისხის კონტროლი	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 34.1	დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 365 დღეს.
დ. ხარჯების კონტროლი	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 44.1	**არ გამოიყენება.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 45.1	კონტრაქტი **არ ექვემდებარება** ფასის კორექტირებას კონტრაქტის ზოგადი პირობების 45-ე პარაგრაფის შესაბამისად.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 46.1	დაკავებული გადახდების წილი შეადგენს: **5%.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 47.1	მთელი ობიექტის სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის **0,1 %** თითოეულ გადაცილებულ დღეზე. მთელი ობიექტის სამუშაოების ვადაგადაცილების ჯარიმის მაქსიმალური თანხა შეადგენს კონტრაქტის საბოლოო ფასის **10%.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 48.1	პრემია (ბონუსი) ობიექტზე მთელი სამუშაოების დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების შემთხვევაში ყოველი დღისათვის: **არ გამოიყენება.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 49.1	ავანსი შეადგენს კონტრაქტის მიღებული თანხის არაუმეტეს **20%-ს** და კონტრაქტორისათვის გადახდილი იქნება 28 დღის განმავლობაში დამკვეთისათვის მისაღები, იგივე ოდენობის ბანკის მიერ გაცემული საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან. საავანსო გადახდის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ფორმით (იხ. ნაწილი IX, საკონტრაქტო ფორმები) და გაცემული უნდა იყოს მხოლოდ ადგილობრივი კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკების სრული სია ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&lng=eng შენიშვნა: აღნიშნული ბმულის მითითება ემსახურება შესაფერისი ადგილობრივი ბანკის მოძებნის პროცესის გამარტივებას და არ ავალდებულებს დამკვეთს პასუხისმგებლობა აიღოს სიაში მოცემულ რომელიმე და/ან ყველა ბანკის საიმედოობის შესახებ.

კონტრაქტის ზოგადი პირობები 50.1	კონტრაქტის შესრულების გარანტიის თანხა შეადგენს კონტრაქტის ღირებულების **10%-ს** და გაცემული უნდა იყოს მხოლოდ ადგილობრივი კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ტერიტორიაზე. კონტრაქტის შესრულების საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს უპირობო (პირველივე მოთხოვნისთანავე) საბანკო გარანტიის სახით, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ფორმის შესაბამისად (იხ. ნაწილი IX, საკონტრაქტო ფორმები). საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკების სრული სია ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&lng=eng შენიშვნა: აღნიშნული ბმულის მითითება ემსახურება შესაფერისი ადგილობრივი ბანკის მოძებნის პროცესის გამარტივებას და არ ავალდებულებს დამკვეთს პასუხისმგებლობა აიღოს სიაში მოცემულ რომელიმე და/ან ყველა ბანკის საიმედოობის შესახებ.
ე. კონტრაქტის დასრულება	
კონტრაქტის ზოგადი პირობები 56.1	თარიღი, რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო: **არ გამოიყენება.** თარიღი, რომლისთვისაც მომზადებული უნდა იყოს საშემსრულებლო ნახაზები **არის კონტრაქტის დასრულების თარიღი.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 56.2	თანხა, რომლის დაკავება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარმოდგენილი დამთავრებული საშემსრულებლო ნახაზები და/ან ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოები კონტრაქტის ზოგად პირობებში 58.1 მოთხოვნილი თარიღისათვის არის **20,000 ლარი.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 57.2 (ზ)	დღეების მაქსიმალური რაოდენობა: **50.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები 58.1	პროცენტი, რომელიც გამოიყენება დაუსრულებელი სამუშაოების ღირებულების მიმართ ობიექტის დასასრულებლად დამკვეთის დამატებითი ხარჯებისათვის **5%.**